რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 30 ნოემბერი 1917 წ.

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, Для груз. газ. „Брдзола". კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола". გაზეთი ღირს წლის ბოლომდი 4 მ., 1 თვით 2 მ. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 47 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბოლშევიკების) კავკ. სოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. № 47

# ზავზე მოლაპარაკება უკვე დაიწყო

## გაუმარჯოს ზავს. გაუმარჯოს რევოლიუციას.

## გაუმარჯოს საბჭოების რევოლიუციონურ მთავრობას.

მუშებო, სალდათებო, გლეხებო, მედგრათ დაუჭირეთ მხარი მუშების და გლეხების მთავრობას!

### სოციალიზმით აშინებენ.

რევოლიუციის პირველ დღეებში ყველა ზეიმობდა და მხიარულობდა. დაემხო მტარვალობა, განთავისუფლდა ხალხი, ქვეყანა გადარჩა დაღუპვას, ომს ბოლო მოეღებაო—იმეორებდა დიდი და პატარა, ულოცავდენ, ეხვეოდენ და კოცნიდენ ერთმანეთს. ამ საერთო მხიარულებაში მხოლოთ ბოლშევიკებს შეჰქონდათ დისონანსი. რევოლიუცია საფრთხეშია, რადგან სახელმწიფო ძალა უფლება კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიის ხელშია, ომს ბოლო არ მოეღება, სანამ მას ხელმძღვანელობს კონტრრევოლიუციონური ბურჟუაზია. ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ომი ომის წინააღმდეგ,—აი რა წამოაყენეს იმ თავითვე ბოლშევიკებმა,

ეს არ მოეწონათ ამ ქვეყნის ძლიერთ და მათ მთელი თავისი ძალა და გავლენა ბოლშევიკების წინააღმდეგ მომართეს. ვინ მოსთვლის, რა ხერხს არ მიმართეს, რომ ხალხის თვალში ბოლშევიკები დაეკნინებიათ. უწოდეს მათ პროვოკატორები, ჯაშუშები, გერმანიის აგენტები, ხალხის მოღალატენი და სხ. ამ უმსგავს ცილის წამებას ზედ დაერთო ბოლშევიკების დევნა, დაჭერა, მათი გაზეთების დაკეტვა და სხ. ბოლშევიკებმა გადიტანეს ყოველივე ეს და ბოლოს გამარჯვება მათ დარჩა. ხალხმა შეიგნო, რომ ერთად ერთი სწორი გზა ქვეყნის დაღუპვისაგან გადარჩენისა ბოლშევიკების მიერ ნაჩვენები გზა არის, შეიგნო, რომ აუცილებელია ბურჟუაზიასთან ყოველივე კავშირის გაწყვეტა და მთელი ძალა-უფლების საკუთარ ხელში აღება. შეიგნო და ბოლშევიკების მეთაურობით კიდეც დაამხო კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიის მთავრობა და შეადგინა მუშების და გლეხების მთავრობა სახალხო კომისარების საბჭოს სახით, რომელიც მედგრათ იცავს ხალხის ინტერესებს.

რაღა უნდა მოიგონონ ახლა ბოლშევიკების წინააღმდეგ მათმა მტრებმა? რით დააფრთხონ ხალხი, რა ხერხს მიმართონ, რომ კიდევ გაუტეხონ ბოლშევიკებს სახელი?

ძველ ხრიკებს ხალხმა კარგათ გაუღო გემო, მიხვდა მთელ მათ სიყალბეს და ზიზღით უარყოფს მათ. საჭიროა ახალი ხრიკი, რომ ბოლშევიკებიდან ხალხი დააფრთხონ და აი ხალხის მტრები ამ ხრიკსაც იგონებენ: ისინი ეუბნებიან ხალხს, — ბოლშევიკები სოციალისტები არიან, მათ უნდათ სოციალიზმი შემოიღონო.

ასეთ ბრალდებას გვიყენებს არა მარტო წმინდა წყლის კადეტები, არამედ ყოფილი სოციალისტები და ახლა კი გაკადეტებული მენშევიკები.

გავუშინჯოთ კბილი ამ ბრალდებასაც.

რა არის სოციალიზმი? სოციალიზმი ისეთი წყობილებაა, როდესაც არ არსებობს კერძო საკუთრება მიწაზე, ფაბრიკა-ზავოდებზე, შრომის იარაღებზე და ყველა ესენი შეადგენს მთელი ხალხის საკუთრებას. ასეთ წყობილებაში ყველა სრულწლოვანი, ვინც კი შრომის უნარს არ არის მოკლებული, ვალდებულია იშრომოს, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებულ არის შიმშილით მოკვდეს. ეს შრომის სამეფოა. აქ აღარ არსებობს მდიდარი და ღარიბი, დამჩაგვრელი და დაჩაგრული, ხაზეინი და მოჯამაგირე, აქ ყველა თანასწორია. ძმობა, ერთობა თანასწორობა მხოლოთ სოციალიზმში განხორციელდება.

ჩვენ სოციალისტები ვართ და მთელი ძალღონით ვემსახურებოდით სოციალიზმის დამყარებას. ჩვენ ეს საძრახისათ კი არ მიგვაჩნია, ჩვენ ამით ვამაყობთ.

მაშ რათ გვიკიჟინებენ გუშინდელი სოციალისტები და დღეს კი კადეტების მონა-მორჩილი მენშევიკები?

ადრეა ჯერ სოციალიზმის დამყარებაო,—ამბობენ ისინი: ჯერ იმდენათ არც წარმოება არის განვითარებული და არც ხალხია განათლებული, რომ სოციალიზმის დამყარება შესაძლებელი იყოსო.

ამ სიტყვებში მოიპოვება ჭეშმარიტება, მარა სრულიათ კი არა, სანახევროთ. მართალია, რომ სოციალიზმის დამყარება ყოველგვარ პირობებში არ შეიძლება. მისთვის საჭიროა, რომ მრეწველობა ძლიერათ იყოს განვითარებული, საჭიროა არსებობდეს დიდი ჯარი საკუთრებას მოკლებულ მშრომელთა მასისა, რომელიც არაფერს არ დაკარგავს სოციალიზმის დაარსებით თავისი ბორკილების მეტს. მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ სოციალიზმის დამყარებისთვის აუცილებელია დედამიწის ყოველ კუნჭულში მრეწველობა უაღრესათ იყოს განვითარებული. ასე თუ შევხედავთ საქმეს, სოციალიზმი არასოდეს არ განხორციელდება. პირიქით, სოციალიზმის იროსაც კიდევ დიდხანს იარსებებს წვრილი მეურნეობა და თავის დამყარების დროს ხომ ის ხელსაც არ ახლებს წვრილ მესაკუთრეებს.

მენშევიკები კადეტურათ აყენებენ საკითხს და მათი სოციალიზმი საიქიო ცხონებას უფრო წააგავს, ვიდრე სააქაო ცხოვრების გაუმჯობესებას. ისინი მუდამ იტყვიან—ჯერ ადრეა სოციალიზმზე ფიქრიო და ამით კადეტებიდან არ განსხვავდებიან.

როგორ უყურებენ ბოლშევიკები საკითხს? მომწიფებულია თუ არა ობიექტიური და სუბიექტიური პირობები სოციალიზმისთვის? ამყარებენ თუ არა ისინი სოციალიზმს ახლავე?

სოციალიზმის დამყარება დეკრეტით არ შეიძლება. ეს ეკონომიური ცხოვრების ძირითადი გარდაქმნაა და როგორც ასეთი ის ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენს, რომლის ხელის შეწყობა, მოახლოვება და დაჩქარება შეიძლება რევოლიუციონური ნაბიჯების გადადგმით.

ბოლშევიკები აკეთებენ ამ ნაბიჯებს მით, რომ შემოაქვთ კანტროლი წარმოებაზე, აცხადებენ ბანკების ნაციონალიზაციას, აუქმებენ კერძო საკუთრებას მიწაზე და სხ.

მუშათა კანტროლის დაწესება წარმოებაზე კიდევ არ ნიშნავს ფაბრიკა-ზავოდებზე კერძო საკუთრების მოსპობას. ეს ზომა გამოწვეულია იმის წინააღმდეგ, რომ კაპიტალისტები განგებ აჩერებენ წარმოებას, სწეწავენ საქმეს, რომ ხალხს შიმშილით საქმე გაუჭირონ და ის თავის წინ წამოაჩოქონ. მუშების კანტროლი ლაგამს სდებს კაპიტალისტების თარეშს, თუმცა არ სპობს მათ საკუთრებას. მაგრამ ამ კანტროლიდან ერთი ნაბიჯია თვით საკუთრების გაუქმებამდე. როდის მოხდება ეს გაუქმება, დროსა და პირობებს გააჩნია. შეუძლებელს ბოლშევიკები არ ეპოტინებიან, მხოლოთ შესაძლებელს დღესვე ასრულებენ.

ასევეა ბანკების ნაციონალიზაციის საკითხიც. ბანკების გაერთიანება ერთ სახელმწიფო ბანკათ სულაც არ ნიშნავს, რომ თავის ფულს დაკარგავენ ისინი, ვისაც ბანკში აქვს ის დაბანდებული. სახელმწიფოს ამით მხოლოთ შეძლება ეძლევა კანტროლი გაუწიოს ბანკების მახინაციებს და ძირშივე მოსპოს მათი სპეკულიაცია. მაგრამ ეს ნაციონალიზაცია უკვე დიდი ნაბიჯია სოციალიზმისკენ გადადგმული.

ყველა ეს ზომები დღეს მშრომელთა მასისთვის დიდათ სასარგებლოა და ის მთელი ძალღონით უჭერს მას მხარს. როდის გადიდგმება შემდეგი ნაბიჯი, დამოკიდებულია კონკრეტიულ პირობებზე, ცხოვრების გამოცდილებაზე. ყოველ შემთხვევაში, ეს ნაბიჯი არ გადიდგმება, თუ მისი თანახმა არ იქნა თვით მშრომელი მასა, თუ ის ამისთვის სუბიექტიურათ მომზადებული არ აღმოჩნდა.

მაშ რა აზრით ლაპარაკობენ ბოლშევიკები, რომ სოციალისტური რევოლიუცია დაიწყოო, თუ კი დაუყონებლივ არ ანხორციელებენ სოციალიზმს? იმ აზრით, რომ ძალა-ფლება უკვე პროლეტარიატის ხელთ არის, ის ანხორციელებს ჯერ საერთო დემოკრატიულ პროგრამას, ამყარებს ზავს, აწესრიგებს სურსათს და აუმჯობესებს მშრომელი ხალხის მდგომარეობას. ბურჟუაზია ველარ იხილავს ძალა-უფლებას, პროლეტარიატს დროებით არ აუღია იგი ხელთ. ის ულარიბეს გლეხობასთან ერთათ შეინარჩუნებს ამ ძალა-უფლებას, სანამ არ აღსდგება მთელი ევროპის და ამერიკის პროლეტარიატი, რომ რუსეთის პროლეტარიატთან ერთათ საბოლოვოთ დაამყაროს სოციალიზმი.

ასეთია ჩვენი შეხედულობა და მკითხველი ხედავს, რომ აქ საშიში არაფერია. მართალია, ბურჟუაზიას ძალიან ეშინია სოციალიზმის და სრული საბუთი აქვს ეშინოდეს, რადგან სოციალიზმი მისი ბატონობის მოსპობას ნიშნავს.

მაგრამ ის ცდილობს წვრილი ბურჟუაზიაც შეაშინოს მით და უხატავს სოციალიზმის საშინელებას. წვრილი ბურჟუაზიასაც მოეპოვება კერძო საკუთრება, რომელიც მას მეტის მეტათ უყვარს. და რადგან მას გონია, რომ ეს საკუთრება მას ჩამოერთმევა, ის მხედრდება სოციალიზმის წინააღმდეგ. მენშევიკე-

ბიც სწორეთ ამას ეჩურჩულებიან წვრილ ბურჟუაზიას, სწორეთ ამით ცდილობენ მის დაფრთხობას,

ვისაც სოციალიზმის ანბანი გაეგება, იმან იცის, რომ სოციალიზმი სპობს მხოლოთ კაპიტალისტურ საკუთრებას, ე. ი. ისეთ საკუთრებას, რომელიც წყარო შემოსავლისა უშრომელათ. ასეთი კი მხოლოთ მსხვილი საკუთრებაა წვრილი მესაკუთრე არაფერს არ დაკარგავს თავის ქონებიდან და წინ ნდელზე მეტათ კი გაიუმჯობესებს თავის მდგომარეობას სოციალიზმში.

სოციალიზმი მუქთა ხორებიდან მშრომელი ხალხის განთავისუფლებას ნიშნავს. მის წინააღმდეგ იბრძვიან მუქთა-ხორები, მის ერთგულ დამცველათ გამოდის მშრომელი ხალხი. პირველი ნაბიჯი სოციალიზმისკენ გადადგმულია, მისი საბოლოვო გამარჯვება უზრუნველყოფილია.

## მენშევიკების ბატონობა ირყევა.

მოგეხსენებათ, რომ ქართველ მენშევიკებს მთელი ქართველი ხალხი თავის სამკვიდრო ქონებათ, თავის სამფლობელოთ მიაჩნდათ და თითქმის დღესაც მიაჩნიათ. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ისინი ქართველ ხალხს არასოდეს არ ერიდებოდენ და არც დღეს ერიდებიან. ან კი ეს საჭიროა: როგორც წინეთ, ბატონ-ყმობის დროს, ბატონი არა თუ არ ერიდებოდა თავის ყმას, არამედ მას არც კი ხდიდა რაიმე ყურადღების ღირსათ, ისე დღეს არა თუ მენშევიკების რომელიმე ლიდერი, არამედ ჩვეულებრივი სულ უკანასკნელი მენშევიკიც კი ქართველ ხალხს, ე. ი. ქართველ მუშებს, გლეხებს და ჯარისკაცებს სრულებით ებუჩათ იღებს, სრულებით დაუერიდებლათ ექცევა, ვინაიდან სრულებით დარწმუნებულია იმაში, რომ სულ ერთია ქართველი ხალხი ქართველ მენშევიკების სამკვიდრო ქონებაა, და მათ შეუძლიათ ამ ქონებით, როგორც უნდათ, ისე ისარგებლონ. მათ ვერ წარმოუდგენიათ ისეთი მდგომარეობა, რომ ერთხელაც იქნება ქართველმა ხალხმა, ე. ი. მუშებმა და გლეხებმა, მათ უნდობლობა გამოუცხადოს.

მეტათ დამახასიათებელი და საგულისხმიერო იყო ამ მხრით მენშევიკების მეტათ ცნობილი ლიდერის გამოსვლა ქართველ ჯარის კაცებ ს ე. ი. გლეხების და მუშების მიტინგზე. იგი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ისტორიულ უფლებაზე ემყარებოდა. მისი სიტყვა დაახლოვებით ასეთი იყო: ქართველი ხალხი დღემდის იცნობდა მხოლოთ მენშევიკებს, მათთან ქონდა საქმე, იმათ ირჩევდა ყოველგან, იმათ უცხადებდა სრულ თავის ნდობას; მაშასადამე, ქართველი ხალხი ამიერიდანაც ასე უნდა უყურებდეს მენშევიკებს. რაღაზე უნდა ველაპარაკოთ კიდევ?—ერთი სიტყვით, ქართველი ხალხი დაულაპარაკებლათ უნდა გაყვეს მენშევიკებს, მორჩა და გათავდა. რისთვის უნდა გაყვეს, რა გაუკეთეს ასეთი მენშევიკებმა ქართველ მუშებს, ქართველ გლეხებს,—ამის გარკვევა ზედმეტია ეს მართლაც ერთნაირი ბატონ-ყმობაა, არა სიტყვით, არამედ საქმით.

მაგრამ სამუდამო არაფერი არ არის ამ ქვეყნათ, და ამიტომ სრულებით გასაკვირალი არაა, თუ მენშევიკების ბატონობასაც ქართველ მუშებზე და გლეხებზე ბოლო ეღება. ამას კარგათ გრძნობენ მენშევიკების ბრძენი ლიდერები, და სწორეთ ამით აიხსნება ის თავშეუკავებელი სიბრაზე ბალშევიკების მიმართ. ისინი კარგათ ხედავენ, რომ იმათი ხუხულა ინგრევა, იმათ თვალთმაქცობას ბოლო ეღება, და ხალხი, რომელიც ნელნელა, ცნობილობს თავის ნამდვილ მეგობრებს, თავის ინტერესების ნამდვილ დამცველებს, ე. ი. სოც.-დემ. ბალშევიკებს. ისინი გრძნობენ, რომ სანამ შეიძლებოდა მხოლოთ ფრაზების წამოსროლა ხალხის ინტერესების დასაცავათ, სანამ შეიძლებოდა მხოლოთ სიტყვებით დაკმაყოფილება და ნამდვილი მოქმედება შებოჭვილი იყო, მენშევიკების ფიზიონომია, იმათი ნამდვილი გულის ზრახვა ხალხისთვის გაუგებარი იყო. დღეს კი დრო აღარ არის სიტყვების რახა-რუხის, დღეს საქმის დროა. დღეს ჩნდება, თუ ვინ არის ხალხის ნამდვილი მეგობარი, მისი მოამაგე, ვინ იცავს გაჭირვებულ ხალხს, ვინ აწარმოებს კაპიტალისტების და მემამულეების ალაგმვის პოლიტიკას. რამდენიც არ უნდა ეცადონ მენშევიკები, დღეს ხალხს ვეღარ დაუფარავენ იმ გარემოებას, რომ მთელი რუსეთის რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა და მოწინავე გლეხობამ ზურგი შეაქცია მენშევიკ-ობორონცებს და სოც. რევოლიუციონერებს, რომ რუსეთის მთელი რევოლიუციონური პროლეტარიატი, გლეხობა და ჯარი თითქმის სავსებით ჩამოშორდა მენშევიკებს და ესერებს და მთელი თავისი ძალ-ღონით მიემხრო ბალშევიკებს. რამდენიც არ უნდა იხტუნონ მენშევიკებმა, ამ ფაქტს ისინი ქართველ მუშებს და ქართველ გლეხებს ვერ დაუმალავენ; ვერც იმას დაუმალავენ, თუ რისთვის მოხდა ეს ასე, რისთვის მოხდა, რომ წერეთელი და ჩხეიძე, რომლებიც ერთ დროს რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიის სათავეში იდგენ, რევოლიუციონური დემოკრატიის მიერ განდევნილ იქნენ თავიანთ პოსტებიდან?

როგორც ვთქვით, ასევე ხდება ჩვენშიც, ამიერ-კავკასიაშიაც და აი სწორეთ, თუ რისთვის კარგავენ ქართველი მენშევიკები სიმშვიდეს, თუ რისთვის ღელავენ ასე ძლიერ, თუ რისთვის გამოდიან მოთმინებიდან და ბალშევიკების მოსასპობათ არავითარ საშუალებას აღარ ზოგავენ. მაგრამ შეიძლება, ჩვენ ვცდებით, შეიძლება ჩვენ ვტყუვდებით, რომ მენშევიკების ციხე-სიმაგრე ჩვენშიაც იბზარება, ნაპრალებს იძლევა. ამიტომ მივმართოთ ფაქტებს. ქალაქის არჩევნების დროს თფილისში ივლისის უკანასკნელ რიცხვებში ბალშევიკების სიამ მიიღო 5000 ხმა, მენშევიკების სიამ 40,000 ხმა; ე. ი. მენშევიკებმა მიიღეს დაახლოვებით 8 ჯერ მეტი ხმა. სამ ნახევარ თვის შემდეგ დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს ბალშევიკებმა თფილისში მიიღეს თითქმის 20.000 ხმა, მენშევიკებმა კი მხოლოდ 32.000 ე. ი. მხოლოდ 1 ნახ ჯერ მეტი, ვინემ ბალშევიკებმა. ამნაირათ, მაშინ, როცა ბალშევიკების გავლენამ კავკ. ცენტრში იმატა ხუთ ჯერ, მენშევიკების ძალები შემცირდენ თითქმის 8.000 ხმით, და თუ ამ სამი თვის წინეთ მენშევიკები ჯობნიდენ ბალშევიკებს 8 ჯერ, დღეს ისინი გვჯობნიან ჩვენ მხოლოდ ერთ ნახევარ ჯერ.

რას მოწმობს ეს გარემოება? ეს მოწმობს მხოლოთ იმას, რომ მენშევიკები სასტიკათ დამარცხდენ და მარცხდებიან დღესაც, მაშინ როცა ბალშევიკებმა საოცრათ გაიმარჯვეს. მაგრამ ჩვენ გვეტყვიან. აი შეხედეთ, თუ რა ხდება, პროვინციაში იქ მენშევიკები იღებენ იმარჯვებენ ძველებურათ, იქ ისინი ღებულობენ ათას და ათიათას ხმებს და ბალშევიკები კი ან სულ არ სჩანან, ან იმათი ხმების რაოდენობა განიზომება მხოლოთ ათობით და ასობით. ეს მართალია. მაგრამ აქაც დიდი ფლიდებია. ჯერ ერთი აი რას უნდა მივაქციოთ ყურადღება. გლეხობა აძლევს თავის ხმებს მენშევიკებს იმიტომ, რომ მას ასე უბრძანებენ მაზრის, უბნის და სოფლის კომისრები, და გლეხებს არც კი აქვთ საშუალება რომელიმე სხვა პარტიას მისცენ ხმა. ვინაიდან სოფლის დღევანდელი ადმინისტრაცია, რომელიც თავიდან ბოლომდე მენშევიკებიდან შესდგება, სხვა პარტიის წარმომადგენლებს სოფლათ სდევნიან, იჭერენ, პატიმრებენ კიდევ უფრო მეტათ, ვინემ ამას ჩადიოდა ნიკოლოოზ რომანოვის მთავრობა. მენშევიკების კამისარებმა სოფლათ ჩვენი აგიტაცია და პროპაგანდა შეუძლებელი გახადა. ასეთ პირობებში სხვანაირი შედეგი შეუძლებელია; და პირდაპირ გასაკვირალია, რომ ასეთ აუტანელ პირობებში ქართველ გლეხობაში აღმოჩნდენ ისეთები, რომლებმაც მიუხედავათ დევნისა, მაინც გამოიჩინეს იმდენი ზნეობრივი ძალა და შეგნება, რომ ბალშევიკებს მისცეს ხმა. მაგრამ ეს არის მხოლოთ დასაწყისი. ბალშევიკების ტაკტიკას მხოლოთ დღეს ეცნობა ჩვენი ხალხი და ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ქართველ მენშევიკებს აქაც იგე მოუვა, როგორც რუსეთში: აქაც ისინი გაირიყებიან ხალხისგან, როგორც ისინი გაირიყენ რუსეთში. აი რისთვის ბრაზდებიან, აი რისთვის ილანძღებიან ისინი. იმათი გაკოტრება უკვე ფაქტია.

## პოლიტიკური პატიოსნება.

ქართველ თავად-აზნაურთა რუსულ გაზეთ „ვოზროჟდენიე“-ში ასეთი ცნობაა მოყვანილი:

„ჩრდილოეთის ფრონტის ქართველ მხედართა სიეზდმა შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა სამხედრო მინისტრის თანაშემწის თავად თუმანოვის მოკვლის გამო: „ქართველი მხედრები თავის მოვალეობათ სთვლიან აღიარონ, რომ ამიერიდან ყოველი ქართველი საზოგადო მოღვაწის სიცოცხლის გამოსალმებისათვის სიცოცხლეს გამოესალმებიან მისი სიკვდილის პირდაპირი დამნაშავენი — სამი ლიდერი და 7 უბრალო მუშაკი იმ პარტიისა ან საზოგადოებრივი ჯგუფისა, რომლის გამოსვლის დროს მოკლულ ან დაჭრილ იქნება ქართველი საზოგადო მოღვაწე“. რეზოლიუცია ერთხმათ იქნა მიღებული. ყველა დამსწრე დელეგატებმა ფიცი დასდეს, რომ შეასრულებენ ამ რეზოლიუციას“.

„ვოზროჟდენიე“ არავითარ კომენტარებს არ უკეთებს ამ ცნობას, მაგრამ აშკარაა, მთელი არსებით თანაუგრძნობს ამ გადაწყვეტილებას.

ჩვენ სრულებით არ გვწამს პოლიტიკური პატიოსნება ამ წმინდა წყლის შავრაზმელებისა და ზიზღით ვკითხულობთ, როცა ისინი ჩვენს პოლიტიკურ პატიოსნებაზე ლაპარაკობენ.

„ჩვენ გვინდა დავიჯეროთ პოლიტიკური პატიოსნება ადგილობრივი ბოლშევიზმის ლიდერებისა, გვინდა ვიფიქროთ, რომ ისინი მთელ თავის გავლენას მოიხმარებენ, რომ არ დაუშვან მოსულ რუსების ჩარევა ქართველი ხალხის ადგილობრივ საქმეში“.

ეს ვაჟბატონები ბრძოლას უცხადებენ რუსეთის რევოლიუციონურ მთავრობას, ამ მიზნით უკავშირდებიან კალედინ-კარაულოვებს და თან უტიფრათ იძახიან: ეს ჩვენი საქმეა, სხვა ნურავინ ჩაერევით. გაიგეთ და შეიტყეთ, რომ თქვენს სიეზდებს ახასიათებს არა ერის თვითგამორკვევა (ამის წინააღმდეგ არაფერი არა აქვს დემოკრატიას და პირიქით მხოლოთ ის იძლევა მისი განხორციელების გარანტიას), არამედ რევოლიუციონური რუსეთის წინააღმდეგ დარაზმვა და აშკარა კონტრ-რევოლიუციონერებთან დაკავშირება, ამის წინაღმდეგი დიახაც რომ ვართ და ის მქადრანი, რომელთაც თქვენ რუსობას უპირდაპირებთ, მალე მიხვდებიან, რა უფსკრულისკენ მიერეკებით მათ და რუსის ჯართან ერთათ შეუერთდება რუსეთის რევოლიუციას, რუსეთის დემოკრატიის და საფუძვლიანათ მოსპობს თქვენს კონტრ-რევოლიუციონურ ფართიებს. ამისი იმედი უეჭველათ გქონდეთ. ქართველი ერის ძალათ მაცხოვნე ჭირისუფლები მალე მიხვდებიან, რომ სწორეთ ეს ერი, მისი მშრომელი ნაწილი გაცილებით მეტ ნათესაობას გრძნობს რუსეთის დემოკრატიასთან, ვიდრე გაერთიანებულ ქართველ სოციალისტ-ნაციონალისტებთან. ის სასტიკ პასუხს მოსთხოვს მათ, ვინც მისი სახელით დღეს წყალს ამღვრევს და ერთა ურთიერთობის გასამწვავებლათ აშკარა პროვოკაციას ეწევა. აი რასა სწერენ ეს ვაჟბატონები სომხების შესახებ.

„რაც შეეხება ბბ. შაუმიანებს, მათი ფსიხოლოგია ჩვენთვის ისევე გასაგებია როგორც ფსიხოლოგია ბოლშევიზმის ნიღაბ-აფარებულ რუსის სალდათისა, რომელიც ცოფებსა ყრის საქართველოს ავტონომიის გამოცხადებისა გამო. მაგრამ ბბ. შაუმიანებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათი ჩარევა ქართველი ხალხის შინაურ საქმეებში გამოიწვევს უკანასკნელში (ქართველ ხალხში) მისი მშობელი ხალხისთვის სრულიად არა-სასურველ გრძნობებს. მშობელი ხალხის წინაშე პასუხის მგებლობის შეგნებამ უნდა აიძულოს ბბ. შაუმიანები თავი შეიკავონ ყოველგვარი აქტიური გამოსვლიდან იმ საზღვრებში, რომლებიც ქართველ ხალხს თავისათ მიაჩნია“.

ქართველი თავად-აზნაურობა შავრაზმულ გუნებაზეა, მას პოგრომები სწყურია. ეს არ არის გასაკვირველი. ქართველი დემოკრატია ზიზღით უარყოფს ამ პოგრომშჩიკების პლანებს და დაუკავშირდება მათგან ათვალწუნებულ სომხის, თათრის/და სხვა ერის შაუმიანებს.

## უსუსურთა უტიფრობა.

ჩვენ ხელში გვაქვს მენშევიკების საოლქო კომიტეტის უკანასკნელი დოკუმენტი (იხ. „ერთობის“ № 207) რომელიც ახასიათებს ამ, უკაცრავათ პასუხია სოციალ-დემოკრატიულ კოლექტივს, როგორც გაჟღენთილს იეზუიტობით, დემაგოგობით, უპრინციპობით, ფარისევლობით, თვალთმაქცობით, ცილისწამებით, უსაზღვრო ტყუილებით, პროვოკატორულ მიდრეკილებით. განვიხილოთ ამ ისტორიულ დოკუმენტის ზოგიერთი ხელ-ხელ საგოგმანები მარგალიტები.

„ბალშევიკების გამოსვლამ რევოლიუციონური დემოკრატია ორათ გაჰყო.“ ეს მტკნარი, დემაგოგიური სიცრუეა. ვინაიდან სინამდვილეში ბალშევიკებმა ორათ გაჰყო არა რევოლიუციონური დემოკრატია, არამედ ე. წ. „ობორონცული“ დემოკრატია, რომლის ერთი ნაწილი საწუხაროთ კიდევ უჯერებს თავის გაკოტრებულ ბელადებს და იარაღით ხელში ებრძვის მუშების, სალდათების და გლეხობის რევოლიუციას.

„ლენინის მთავრობა ბალშევიკურ პარტიის გარდა არავინ იცნობს“,

ესეც მტკნარი ტყუილია. ვინაიდან უკვე ორი კვირაა, რაც ულარიბესი გლეხობა მემარცხენე ესერების მეთაურობით სავსებით შეუერთდა ბოლშევიკურ მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოებს და შედგა ერთი საერთო სრულიათ რუსეთის ცენტრი ერთი პოლიტიკური პლატფორმით. როცა ასეთ აშკარა ფაქტს გვერდს უვლიან ცრუ სოციალისტები, სახეში აქვთ ალბათ, რომ „ერთობის" მკითხველები გარდა „ერთობისა" არაფერს კითხულობენ. მარა ჩვენ ასე არ უყურებთ მენშევიკ-მუშებს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ კადეტურ „ერთობის" გარდა ხანდახან რევოლიუციონურ-პროლეტარულ გაზეთებსაც კითხულობენ. ისინი განაგრძობენ:

„ეს მთავრობა (ლენინის) შეგპირდათ თქვენ დემოკრატიულ ზავის ჩამოგდებას და ფაქტიურათ კი გმირ რევოლიუციონურ ჯარს (აი იმპერიალისტური სტილი!) დემოკრატიის სასტიკი მტრის ნემეცთა იმპერატორ ვილჰელმის ფერხთა ქვეშ იარალი დააყრევინა და მონურათ ქედი მოახრევინა".

აი განუსაზღვრელი უტიფრობა-უნამუსობის საუცხოვო ნიმუში. ვინ არ იცის დღეს, რომ ავსტრია-გერმანიასთან სამშვიდობო მოლაპარაკება უკვე დაიწყო და ამ მოლაპარაკებას საფუძვლათ უდევს ლენინის მთავრობის საზავო დეკრეტი: უკონტრიბუციო, უანექსიო და ერთა თვითგამორკვევის უფლება? ეს იციან ყოველგან: კავკასიაში, რუსეთში, ევროპაში, ამერიკაში, მთელს კაცობრიობაშ. ეს ასეა, მარა ჩვენ ავტორთ მაინც შესწევთ ცინიკური უსირცხვილო გამბედულება, წინააღმდეგი ამტკიცონ. ე. ი. ვითომც ბოლშევიკებმა ვილჰელმის წინაშე ჩაიჩოქისო. „მელას რაც ავინდება, ის ესიზმრებოდაო", უბადრუკ საოლქო კომიტეტს ნამეტანათ სწყურია, რომ ლენინის მთავრობის მიერ გადადგმული ენერგიული, უდრეკათ რევოლიუციონური ნაბიჯები დაუყონებლივ ზავის ჩამოსაგდებათ, უნაყოფოთ ჩატარდეს. მარა ტყუილი ნატვრა: პროლეტარულ-გლეხური მთავრობა ბოლშევიკების მეთაურობით უეჭველათ შესძლებს, რაც უნდა დაუძლეველი დაბრკოლება გადაეღობოს წინ, თავის საზავო პროგრამის ჩქარა განხორციელებას. მენშევიკებს ვიწრო ფილისტერულ მოსაზრებით უნდათ, რომ დიდი საკაცობრიო საქმე, ბოლშევიკების მიერ წამოწყებული, ჩაიფუშოს, მარა გარწმუნებთ, ყვავ-ყორნებო, თქვენ მაგ სანატრელ საქმეს ვერ მოესწრებით. რატომ? იმიტომ, რომ ბოლშევიკების სიტყვა და საქმე ერთია.

„ლენინის მთავრობამ ჩაახრჩო სოციალისტური პრესაო". ესეც ტყუილია ვინაიდან ამ მთავრობამ დახურა სოციალისტური კი არა, არამედ ცრუ სოციალისტური პრესა, რომელიც ზურგს უმაგრებდა კონტრ-რევოლიუციას.

„ლენინის მთავრობამ პროვინციები ფაქტიურათ ჩამოაშორა ცენტრსო". ეს მტკნარი ინსინუაცია (ცილის წამება), ლენინის მთავრობის პოლიტიკა პირიქით აერთიანებს მთელი რუსეთის რევოლიუციონურ ფრონტს ამ მთავრობის წინააღმდეგ მიდიან კონტრ-რევოლიუციონური ბუდეები კალედინ-კარაულოვების მეთაურობით, ამ კონტრ-რევოლიუციონურ ბუდეებს გვერდში ამოუდგა ამიერ კავკასიაც მენშევიკ-ესერულ მთავრობით სათავეში, რომელმაც მიზნათ დაისახა ბრძოლა რევოლიუციონურ რუსეთის წინააღმდეგ. ეს ასეა, მარა მენშევიკური კოლექტივი, რომ თავის მომაკვდინებელი ცოდვები ჩააფუჩეჩოს, გამოლმა [illegible]. მარა ვარწმუნებთ, რომ ის ამით ფონს ვერ გავა: ბოლოს და ბოლოს ფხიზელი დემოკრატია სიმართლეს დაინახავს.

„ამიერ კავკასიის კომისარიატმა გამოაცხადა დროებითი ზავი ოსმალეთის ფრონტზეო". აი ნამდვილი კომედიანტები და ბუტაფორები! „დემოკრატიულმა" კომისარიატმა ამიერ კავკასიის დემოკრატიას უსირცხვილოთ დაუმალა რომ ზავი კავკასიის ფრონტზე—ეს არის პირდაპირი გამოძახილი ლენინის მთავრობის საერთო საზავო პოლიტიკის. ეს თავის დროზე ჩვენ ვამხილეთ და პასუხიც მოვითხოვეთ, მარა სიჩუმე ამჯობინეს. ჩვენ ვიფიქრეთ: ეს სიჩუმე სიწითლეს ნიშნავს, მარა მოვსტყუვდით: მენშევიკები ისევ წარბ-შეუხრელათ აუწყებენ ქვეყანას: „ჩვენც ვნახავთო" თურმე ტყვილია ამბობენ: „სიცხვილიც კაი საქონელიაო". ამ დოკუმენტის ავტორნი ამ საერთო წერიდგან გამონაკლისს შეადგენენ.

„ამხანაგებო! ადგილობრივ ბოლშევიკებს უნდათ გამოიწვიონ სამოქალაქო ომიო". ეს უბრალო ტყუილი კი არა, ეს დიდი პოლიტიკური დანაშაულია, რომლისთვისაც თავის დროზე პასუხს აგებენ ეს ვაჟბატონები. ამ უბადრუკმა და და სინდის გარეცხილმა ხალხმა ძალიან კარგათ იცის, რომ ბოლშევიკები ჩვენში და კერძოთ თბილისში არავითარ გამოსვლას არ აპირებენ. რატომ? ეს სრულიათ ბუნებრივია, ვინაიდან საამისო პოლიტიკური კოლექტივი ოფიციალურათ აცხადებს: ბოლშევიკები გამოსვლას, თავდასხმას აპირობენო, უბრალო რიგიანობა მოითხოვს თუ არა, რომ საამისო თუნდ ერთი რამ საბუთი, დოკუმენტი, დადგენილება მოიყვანონ? ავტორთ ეს არ შეუძლიათ, ვინაიდან არაფერი ამ გვარი ბოლშევიკებს არ განუძრახავთ. მენშევიკებმა იციან, რომ ჩვენ გვყავს თფილისის და საოლქო კომიტეტები, რომლებსაც მხოლოთ შეუძლიათ პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა. მენშევიკებმა იციან, რომ ამ კომიტეტებს არავითარი დადგენილება არ გამოუტანიათ ასეთი გამოსვლის შესახებ. მაშ რას ემყარებიან მოწოდების ავტორნი, როცა ასეთ რამეს გვახვევენ თავზე? შეიძლება, ქუჩურ, „აბივატელურ" ხმებს? ჩვენ ეს არ გვჯერა, ვინაიდან ავტორნი არ მიგვაჩნია ასეთ გულუბრყვილო ხალხათ. მაშ რა უნდა ვიფიქროთ? ეს ვაჟბატონები განძრახ, შეგნებულათ დგამენ ამ უსირცხვილო პროვოკაციულ ნაბიჯს იმ შედით, რომ დარწმუნებულნი არიან: შეიარაღებული შეჯახება მათი გამარჯვებით გათავდება. ეს, შეიძლება, ასეც მოხდეს, მარა ჩვენ მაინც ვურჩევთ „ხელმძღვანელ" ორგანოს: ფრთხილათ, ბატონებო, ფრთხილათ! Неровень часъ. ვარწმუნებთ ავტორთ, რომ როცა კონტრრევოლიუცია ჩვენზე იერიშს მოიტანს, თავს დავიცავთ, რაც უნდა ძვირათ დაგვიჯდეს ეს. „ამხანაგო ჯარის კაცებო! ბოლშევიკებს უნდათ თქვენი სისხლი დაღვაროსო". ამის მთქმელთ კიდევ შეუძლიათ თქვან: ერთი ნამცეცი პოლიტიკური სინდისი გაქვსო? რა საკვირველია, არა. ვინაიდან: ვინ არ იცის, რომ ბოლშევიკებს სისხლი სისხლისათვის კი არ სწყურიათ, არამედ ჯარისკაცთ და მუშებს მოუწოდებენ: როცა რევოლიუციის, ზავის, თავისუფლების ინტერესები საფრთხეშია, ვინტოვკებს ხელიდან ნუ გაუშვებთ და მოქალაქობრივ ომს, იერიშით მოსულ მტერს ნუ გაექცევითო.

ესაა და ეს. ნუთუ ეს რთული პოლიტიკური ფილოსოფიაა? სრულიადაც არა. ამ ანბანს ვერ ითვისებენ მხოლოთ ცრუ-სოციალისტები, ეს ქონდრის ხალხი.

ასეთია ამ დოკუმენტის პოლიტიკური შინაარსი და ხასიათი. ჩვენ მოუწოდებთ მუშებს და სალდათებს: კარგათ შეისწავლონ ის, ფრთხილათ იყონ და პროვოკაციის ანკესზე ნუ წამოეგებიან.

ძირს პროვოკაცია!

## ალლო ვერ აულეს!

„თუ ღმერთს კაცის დასჯა მოუნდა, პირველათ ყოვლისა გონებას წაართმევსო". ჩვენმა მენშევიკ-ესერებმა კარგი ხანია გონება დაკარგეს! არ იქნა და არა—მათ რევოლიუციას და მშრომელთა განთავისუფლების საქმეს ალლო ვერ აულეს. 1914 წელს გადადგეს მათ ეს სამარცხვინო ნაბიჯი, როცა ემილ ვანდერველდეს შოვინისტურ მოწოდებას დასტური დართეს, და მას შემდეგ იმ შემცდარი ნაბიჯით დღემდე უტიფრათ აგრძელებენ მსვლელობას და რაც დრო გადის, კონტრ-რევოლიუციის წისქვილს ბურჟუაზიულათ ამუშავებენ..

თებერვალ-მარტის ძლევა-მოსილმა რევოლიუციამ ოშიანობის ერთი უმთავრესი მიზეზი ნიკოლოზ მტარვალი დაასამარა! მას უნდა მიყოლოდა სხვა „ყინულის სახლების" დანგრევაც ყველასათვის ცხადი იყო, რომ მილიუკოვ-როდზიანკოს „ახალი" ტახტი არსებითათ არაფერსაც არ სცვლიდა და საიმედოს არას წარმოადგენდა—რომ ერთხელ და სამუდამოთ მუშებს მათი თავიდან მოშორებაც აუცილებლათ გაუხდებოდათ!.. ერთათ-ერთმა რევოლიუციონურმა ბოლშევიკურმა პარტიამ ეს ხმა მაღლა აღიარა და მშრომელი მასის ექსპროპრიატორთა-ექსპროპრიატიისათვის დარაზმვას შეუდგა!.. როძიანკოს მთავრობამ ამხ. ლენინს „ალლო აულო" და ბურჟუაზიული ყვითელი პრესის საშვალებით, ათას გვარი ცილის წამებით მის თავიდან მოშორებას შეუდგა!.. ობორონცებმა რუსეთის ქიულ-პოლმარატს, თავისუფლების სულის ჩამდგმელს ამხ. ვლადიმერ ულიანოვს (ლენინს) ალლო ვერ აულეს და ყვითელი პრესის ყვითელ ფრაზებს თუთიყუშივით იმეორებდენ, თვითონაც საშინელ პროკურორის როლში მოევლინენ ბოლშევიკებს და დიდის „ენერგიული შრომით"—კვლავ იატაკს ქვეშ გაისტუმრეს. მაშინდელი ჩვენი ლოზუნგები იყო:

1. დემოკრატიული ზავი, ერთა თვით გამორკვევის ნიადაგზე — უკონტრიბუციოთ და უანექსიოთ.
2. ძირს ომი!
3. 8 საათის სამუშაო დღის დაკანონება.
4. მიწების კონფისკაცია...

ჩვენ ყველა ამ ლოზუნგების რეალიზაციის აუცილებლობას ვხსნიდით და შემდეგ მას ხმა მაღლა ვამბობდით!.. გვებრძოდა ბურჟუაზია—გვებრძოდენ ყველა რანგის ობორონცები...

იმ ხალხმა, რომელიც ნიკოლოზის დროს ასე თავდადებით იცავდენ მუშათა პროლეტარიატის რევოლიუციას, ახლა რაღაც მანქანებით მიატოვა აქან გარდი და ბურჟუაზიას გვერდით ამოუდგა. დაიკეტა მუშათა სულის ჩამდგმელი გაზეთი: „პრავდა". დაახრჩეს „სალდატსკაია პრავდა", და სხვა უკიდურეს მემარცხენეთა ორგანოები!—ობორონცებს კრინტიც არ დაუძრავთ პრესის თავისუფლებაზე. თურმე „რეჩი" ნოვოე ვრემიას" და სხვა პურიშკევიჩების გაზეთები მათთვის საჭირო იყო!..

(შენიშვნა: მათმა ლიდერებმა რევოლიუციის წინა ხანებში საშინელი მუქარით გაზ. „სამშობლო" შეიჩერეს, როგორც სჩანს მათთვის პრესის თავისუფლება მაშინ არ არსებობდა. ავტ.)

ოქტომბრის რევოლიუციამ მატყუარა მუქთა მჭამელთა კოალიციას წესი აუგო! ჩვენი ლოზუნგი: მთელი ძალა უფლება საბჭოებს! თვით ცხოვრებამ მთელი თავისი სიგრძე-სიგანით წამოაყენა! პეტროგრადის პროლეტარიატი, ჯარი და ბალტიის ზღვის თავგანწირული მატროსები შეუდგენ თვისი საკუთარი ბედის გამოჭედვას! ბურჟუაზიამ კონტრ-რევოლიუცია შეამზადა კერენსკის მეთაურობით! ხალხში შიმშილი და დემორალიზაცია გამოიწვია! საჭირო შეიქნა ბურჟუაზიის მთავრობიდან გადევნა და მათი ალაგმვა! მათ რუსეთი—განაწამები და სისხლში შეღებილი რუსეთი უკანასკნელ დაღუპვის კარებთან მიიყვანეს!—როგორც მოსალოდნელი იყო, კერენსკი-როძიანკო-მილიუკოვებმა და მზგავსმა ავანტიურისტ-გამყიდველებმა სამოქალაქო ომი გააჩაღეს, მშვიდობის მოყვარე მცხოვრებლებთა—მუშებისა და ქალაქში მყოფ ჯარის წინააღმდეგ კონტრ-რევოლიუციონური, მათგანვე თავმოყ-დასხმული ჯარი წამოიყვანეს!—ამ დროს ჩვენი ობორონცები მხოლოთ ბოლშევიკებს ამტყუნებდენ, „მოღალატეებათ, ავანტიურისტ სულელებათ" ნათლავდენ მათ და მოქალაქობრივ ომს უფრო და უფრო ცეცხლს ურთავდენ!.

მათ ომი გამოუცხადეს არა ბოლშევიკებს, არამედ მთელ მუშათა ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოებს. ამ უკანასკნელთა სულის კვეთება მათ ვერ იგრძნეს! პირიქით ხელს უწყობდენ კალედინ-კერენსკის მოქმედებებს. დიახ! მუშათა რევოლიუციონერობას მათ ალლო ვერ აულეს. რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა გაიმარჯვა. ჩვენი სანეტარო ლოზუნგების რეალიზაცია ხდება! შორს მის სუფევა გვიახლოვდება, დიდიხნის სანატრელი, ოცნება—სინამდვილეში ფრთებს ისხამს!.. ბურჟუაზიული და მათი მიმყოლი ზოგიერთი ობორონისტული აზროვნების ორგანო დროებით იხურება!.. მერე როგორ გგონიათ? მენშევიკებმა აულეს ალლო, სახალხო კომისარების მოქმედებას? პირიქით, მასალა იშოვნეს და საქმეს შეუდგენ! ობორონცულმა „ერთობაში" გარდა ცილისწამებისა და ბოლშევიკების ლანძღვა გინებისა ვერას იხილავთ! სხვათა შორის აი მაგ. 205 №. გაზეთის—მეორე წერილის ავტორი, რომელსაც გონება სავსებით დაუკარგავს თვის სტატიას ასე ათავებს: „ნიკო რომანოვს ღირსეული მემკვიდრე დარჩენია: ეს არის ვლადიმერ ლენინიო".

აი, ასეთი რედაქცია ხევებს უკეთებს რიგიანობას. ლენინი, რომელიც მთელმა რუსეთის მშრომელმა რევოლიუციონურმა დემოკრატიამ, რევოლიუციის ღირსეულ სულის ჩამდგმელათ იცნო და სათავეში მოაქცია, თურმე „ნიკო რომანოვის მემკვიდრე" ყოფილა გაზეთის აზრით. მათ არ მოსწონთ ბოლშევიკების გამორკვევა, რადგან ეს მათ დამარცხება მოასწავებს! ისინი ვერ ივლუბენ თავიანთ გაკოტრებას და დაძაბუნებას! მათ ის გულწრფელობაც კი აკლიათ, რომელიც ამ ბოლო დროს „ნოვაია ჟიზნმა" გამოიჩინა. გაზეთმა აღიარა, რომ ბოლშევიკების წინამდეგ ბრძოლა, სიმართლე უნდა ითქვას, მუშათა წინამდეგ ბრძოლა არისო". გაზ. „ვპერიოდიც" ასეთ გულწრფელობის გზას დაადგა. მაგრამ შორს არიან ასეთ გულწრფელობასთან ჩვენი „გაჯიუტებული მენშევიკ-ობორონცები! აი სწორეთ ამ ხალხზე აქვს ნათქვამი კარლ მარქს, ჯერ

კიდევ საფრანგეთის კომუნის შთაბეჭდილების ქვეშ მყოფს.

„ახირებულია ღმერთმანი, საკმაოა, მხოლოდ სადმე მუშებმა აიღოს თავიანთ ხელში ძალა უფლება, მაშინვე გაჩნდებიან, მიუხედავათ იმისა თუ რას წერდენ ან მოქმედებდენ მთელი უკანასკნელ 60 წლის განმავლობაში, წვრილ ფეხა მოღვაწეებო, რომლებიც ქებათა-ქების შესხმას დაუწყებენ თანამედროვე საზოგადოებას—თვისი ორი ერთი მეორეს საწინამდეგო პოლიუსებით: კაპიტალითა და დამონებული შრომით! ისინი გარწმუნებენ, რომ ვითომდა კაპიტალიზმი ჯერ სავსებით უბიწოების ხანაშია! რომ მას ჯერ არავითარი ცოდვა არ მიუძღვის! რომ სიყალბე ჯერ სავსებით არ გამოჩენილა! რომ მისი ნამუს ახდილობა ჯერ კიდევ რეალურათ არ ქცეულა. (не разоблачена вся это проституированная дѣйствительность.) კომუნის საკუთრების მოსპობა სწადიაო" ამბობენ ისინი! მოწყალეო ხელმწიფენო, გაიგეთ რომ კომუნას მხოლოთ კლასობრივი საკუთრების მოსპობა უნდოდა, ის საკუთრება, რომელიც დიდი უმეტესობის შრომას, დიდი უმცირესობის სიმდიდრეთ აქცევს! მას უნდოდა ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია! მას უნდოდა ინდივიდუალური საკუთრების მოსპობა. ის მიწა და კაპიტალი, რომელიც ახლა ბურჟუაზიას დასამონებელ იარაღათ შეუქმნია, გადაქცეულიყო თავისუფალ ასოსოციაციურ შრომის იარაღათ!". და სხვა. ასე მიმართავდა მარქსი მაშინდელ ავანტიურისტებს! რომელნიც ხშირათ მიატოვებდენ ხოლმე პროლეტარიატს ორ ცეცხლს შუა... მაგრამ მარქსი განა მარტო მოღალატე ტიებს, და ენაპრტყელ ლამარტინებს, კერენსკებს და სხვა ასეთ დიქტატორებს უკეჟინებდა პარიზის კომუნის შთაბეჭდილების ქვეშ?—არა! მარქსის აჩრდილი დღეს უფრო დაჟინებით ჩასჩიჩინებს მასვე თვის ულირს მოწაფეებს: რომელნიც ბურჟუაზიას შეეწყვენ და მასთან სიარული არჩიეს! უმეორებს, რაც ამ რამდენიმე ათეულ წლის წინეთ დასწერა და ეუბნება, რად დაივიწყეთ: აკი მეუბნებოდით: პარიზი სრული სიმართლის განხორციელებაა, ვერსალი კი სიყალბეა მეთქი". (იხ. Гражданск. война факціи К. Маркса გ. მ.) პარიზში კომუნარები იხდნენ მაშინ, ვერსალში კი მოღალატე გამყიდველი კონტრ-რევოლიუციონერი ტიერი... მაგრამ ჩვენ მენშევიკ-ობორონცებს განა შესწევთ იმდენი გონიერების სიმახვილე, რომ სიმართლის ხმას გამოეხმაურონ? განა მათ ამისათვის სმენა გააჩნიათ? არა!.. ამაოდ!.. არ იქნა მათ რევოლიუციას ალღო ვერ აუღეს და ვეჭვობთ ოდესმე აუღონ!..

გედი მ—ტსი.

## რადიო-დეპეშა.

**ბაქოს მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭომ** რადიო-დეპეშით ცნობა მიიღო, რომ პეტროგრადში 23 ნოემბერს უკვე გამოირკვა შედეგი ზავზე მოლაპარაკებისა რუსეთის დასავლეთისა და რუმინიის ფრონტებზე, აგრეთვე ზოგ ადგილას სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზედაც გერმანიია და ავსტრია-უნგრეთის შტაბი თანახმაა ყველგან მოლაპარაკება დაიწყოს. მოლაპარაკება დაიწყო 18 ნოემბერს ნაშუ ღამევის 2 საათზე. დასავლეთის ფრონტის შესახებ 12 მუხლისგან შემდგარი შემდეგი [illegible] მიიღეს. ავსტრია-გერმანიის მე 3, 10 და 2 არმიები პირობას დებენ, რომ ყოველგვარი სამხედრო მოქმედება შეწყვიტონ და დროეითი მორიგება ჩამოაგდონ რუსეთის ჯართან, რომ ზავზე მოლაპარაკებას შეუდგენ. ამ პირობას ორივე მხარე ხელს აწერს და სავალდებულოა ორივესათვის სამი თვის განმავლობაში, ე. ი. მომავალი წლის თებერვლის გასვლამდი. პირობა დაირღვევა მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარე გერმანიის, ავსტია-ოსმალეთის, თუნდ ბულგარიის ფრონტებზე რაიმე სამხედრო მოქმედებას შეუდგება.

**საფრანგეთის მთავრობის ოფიციალური განცხადება ზავზე მოლაპარაკების შესახებ**

ავსტრია-გერმანიის და რუსეთის რევოლიუციონურ მთავრობის რწმუნებულთა შორის დაწყებულ მოლაპარაკების გამო 18 ნოემბრის 24 საათზე საფრანგეთის მთავრობის სახელით გენერალმა რამპოტმა რუსეთის ჯარების მთავარ სარდალს ოფიციალურათ განუცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობას საწინააღმდეგო არაფერი აქვს, თუ რუსეთი დროებით სეპარატიულ მორიგებას ჩამოაგდებს მოპირდაპირეებთანო.

## დ ე პ ე შ ა

### ბოლშ. ცენტრის სახელზე.

**პეტროვსკი.** მიიღეთ ზომები ჯარების გამოსაგზავნათ რკინის გზის დასაცავათ გუდერებს და პეტროვსკის შუა. მოძრაობა შეწყდა. ჯარი უპუროთ დარჩება.

არ გვაქვს: ძალები, საშვალებები და პატრონები: ფრიად საჭიროა არტილერიის დახმარება". პორტ-პეტროვსკის გარნიზონის გაერთიანებულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე. სოლდნიკოვი.

## ჯარის კაცთა წერილები.

**ერზინჯანი.**

ქართველთა ჯარის კაცთა ყრილობა ქ. ეცზინჯანში. 15 ნოემბერს 1917 წ. ქ. ერზინჯანში მოხდა პირველი კორპუსის ქართველ ჯარის-კაცთა ყრილობა თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა პრ. ხოშქეთელიანი, მის ამხანაგათ ექიმი ასლანიშვილი და პრაპორშჩიკი მირიანაშვილი, მდივნებათ ჯარისკაცი ფირცხელავა და სხვა. ყრილობა გაგრძელდა სამი დღე. იყვნენ წარმომადგენლები სხვადასხვა პოლკებიდან აფიცრები და ჯარისკაცები. გარჩეულ იქმნა სხვადასხვა საკითხები, აღსანიშნავია მიმდინარე მომენტის გარჩევა და როგორ უნდა მოიქცეს საქართველც, თუ კავკასია რუსეთს გამოეყო, წარმოიდგინეთ თითქმის ყველა წარმომადგენლები გამოსთქვამდნენ კავკასიის რუსეთიდან ჩამოშორებას. წარმომადგენელი პროვიზორი გრიგოლაშვილი კი ვერ დავაკავეთ, სულ იმას გაიძახოდა: „რუსეთი დაიღუპა, რუსეთი იღუპება და გაიგეთ, ქართველებო, უნდა გამოვეყოთ რუსეთს და ცალკე პოლკები კი არა, არმიები შევქმნათ, რომ ამით გადავარჩინოთ საქართველო ბალშევიზმის იდეიისაგანო. მერე კი თავი იტეხოს რუსეთმაო"

ამისთანა სიტყვების პატრონი, ხომ შოვინისტ-ა და იმისი სიტყვების თანახმად დამტკიცებული იქნა ქართველების ცალკე კორპუსის შედგენა. თუმცალა იქაურ მყოფ მენშევიკებს რო კითხოთ. ვისი რეზოლიუცია გამოიტანეთო გეტყვიან, ჩვენიო და ნამდვილათ კი მიმდინარე მომენტის თანახმათ. აქაურ მენშევიკებმა შექმნეს ქართველთა ძალა ბალშევიკების წინააღმდეგ. მაგათ გონიათ, როს ქართველმა გლეხობამ და ჯარისკაცებმა ვერ გაიგეს მენშევიკური ტაკტიკა და უნდათ ქართველთა პოლკები ბრმა იარაღათ გამოიყენონ ბალშევიზმის საწინააღმდეგოთ. კიდევ ვერ გაიგეს მაგ ვაჟბატონებმა, რომ პროლეტარიატი არაა მიჩვეული უსაქმოთ ჯდომას, იგი მიდის გიგანტური ნაბიჯით სოციალიზმისკენ. მენშევიკები განა ეს ის პარტია არ არის, რომ ძველი რეჟიმის დროს, სულ იმას გაიძახოდა: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით??" განა ეს ვაჟ-ბატონები არ არიან, რომ თებერვლის და მარტის რევოლიუციის დროს ამტკიცებდნენ, რუსეთის და კავკასიის პროლეტარიატმა რევოლიუცია ბოლომდის უნდა მიიყვანოს ხელი-ხელს ჩაკიდებულიო.

დღეს, როდესაც რუსეთი შენდება, როდესაც რუსეთის პროლეტარიატმა ხელში იარაღი აიღო, რომ სამუდამოთ მოსპოს ბურჟუაზიის თარეში, მაშინ ჩვენი მენშევიკები ნაციონალ-შოვინისტებთან ერთათ მოითხოვენ ჯარების ნაციონალიზაციას და რუსეთს შორდებიან ცალკე კავკასიის მთავრობის შექმნით, რომელიც ებრძვის რუსეთის რევოლიუციონურ მუშების და გლეხების მთავრობას.

ვაი სირცხვილო! სად დაიკარგა თქვენი მქუხარე ხმა. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით. ხუ თუ გაშინებენ რიაბუშინსკები და მილიუკოვ-როდძიანკოვები?

ამხანაგებო ქართველო ჯარისკაცებო გამოეხმაურეთ რუსეთის პროლეტარიატს, თუ გინდათ განთავისუფლდეთ ბურჟუაზიის, მძიმე უღლისაგან: არ დაუჯეროთ იმათ, ვინც გეუბნებიან უნდა ჩამოვშორდეთ რუსეთსო, ნამდვილი სოციალისტები მაგას არ გეტყვიან.

ფერ. ვ. კაჭარავა.

## პ რ ო ვ ი ნ ც ი ა.

**სოფ. შემოქმედი.** მოხდა დამფუძნებელი კრების არჩევნები.

საარჩევნო ყუთი დაიდგა კვირას 12 ნოემბერს და გაიხსნა კვირას 19 ნოემბერს. (შვიდი დღის შემდეგ). 12 ნოემბრიდან, და უფრო ადრე კიდევ. აქაური „ლიდერები" (რა თქმა უნდა მენშევიკები) დაძრწოდნენ მოქალაქეთა შორის და აშინებდენ მათ, რომ პირველ ნუმერს თუ არ მიეცით ხმა, მიწა არ დაგირიგდებათ, ომი არ გათავდებაო და სხვა. აგრეთვე აფრთხილებდენ ხალხს სხვა პარტიებისთვის, უფრო კი ბოლშევიკებისთვის არ მიეცათ ხმა. თუ ბოლშევიკებმა გაიმარჯვაო, ეუბნებოდენ მენშევიკ „ლიდერები" ხალხს ანარქია გამეფდება, მიწას არავინ დაურიგებს გლეხებს. გერმანელებს შემოუშვებენო და სხვა მრავალნაირი დემაგოგიით ნათლავდენ ამ ჭეშმარიტ სოციალისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას).

მენშევიკებმა თავიანთი გაიტანეს, რადგანაც აქაური მშრომელი დემოკრატია გაუცნობელია ბოლშევიკებს.

აქაურ არჩევნებში გაიმარჯვა მენშევიზმმა (ათასზედ მეტი ხმა), მას რიგზედ მიყვება ესერები, (ასზედ მეტი ხმა) სოც-ფედერალისტები, ნაციონალ-დემოკრატები (ეროვნული კადეტები) და ყველას ბოლოს ბოლშევიკები.

ძლიერ სასურველია, მოვიდოდეს საზოგადოთ მთელს გურიაში კერძოდ კი შემოქმედში, ერთი ბოლშევიკი აგიტატორი (პროპაგანდისტი)

ვლადიმირ სოფლიშვილი.

## კრებები და მიტინგები

ქალაქის გამგეობის მოსამსახურეთა და მუშათა ჯგუფი მოუწოდებს თავის ამხანაგებს დაესწრონ კრებას ხუთშაბათს ნოემბრის 30-ს საღამოს 7 საათზე ქალაქის გამგეობის ბინაზე განსახილველია მუშათა და სალდათთა საბჭოს წევრთა ხელ-ახალი არჩევნების შესახებ. ამხანაგებს ვთხოვთ დანიშნულ დროზე მოვიდნენ.


პირველი ნოემბრიდან გაზეთი

# ბრძოლა

გამოდის ყოველდღიურათ.

გაზეთის ფასი: წლის დამლევამდე ღირს 4 მ.
ერთი თვით „ 2 მ.
ცალკე ნომერი „ — 10 კ.
მეგაზეთეებს მიეცემათ ცალი 07 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება: 1) „ბრძოლის" და „კავკ. რაბოჩის" კანტორაში, თფილისი, გიორგის ქუჩა № 1.
2) ჩვენი პარტიის თფილისის ოახივე რაიონის ბიუროში.
3) ჩვენი პარტიის პროვინციის ყველა ორგანიზაციებში.

თფილისის ამხ. მუშებს და გაზეთის გამავრცელებლებს ვთხოვთ გაზეთი მოიკითხონ და გასავრცელებლათ წაიღონ სტამბიდან ყოველ საღამოობით, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. სტამბა—ამხანაგობა „ქართლი" ძველი სემინარიის ეზოში. შესავალი ლორის მელიქოვის ქუჩიდან. რედაქციის ადრესი: თფილისი. განოვის ქ. № 3.

**ამხანაგებო!** ხელი შეუწყვეთ ყოველმხრივ „ბრძოლას": მუშათა ორგანო მხოლოთ მუშებისავე ძალღონით და საშუალებით შეიძლება არსებობდეს.


ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „ქართლი", ლორის-მელიქოვის ქუჩა.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა